

56. საქართველოს პარლამენტის მიმართვა საერთაშორისო თანამეგობრობისადმი, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და პარტნიორი ქვეყნების პარლამენტებისადმი, 2008 წლის 11 ივლისი.

საქართველოს პარლამენტის მიმართვა საერთაშორისო თანამეგობრობისადმი, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და პარტნიორი ქვეყნების პარლამენტებისადმი

ა. წ. 10 ივლისს რუსეთის ფედერაციის ხელისუფლებამ ოფიციალურად დაადასტურა 8 ივლისს რუსეთის თავდაცვის სამინისტროს სამხედრო-საჰაერო ძალების ოთხი სამხედრო თვითმფრინავის მიერ საქართველოს საჰაერო სივრცის დარღვევით განხორციელებული სამხედრო აგრესიის აქტი.

ამ აგრესიის აქტის უპრეცედენტო აღიარებით რუსეთის ფედერაციის ხელისუფლება ცდილობს საერთაშორისო თანამეგობრობას დაანახვოს, რომ თავს უფლებას აძლევს, საყოველთაოდ მიღებული საერთაშორისო ნორმების უგულვებელყოფით, საკუთარი შეხედულებისამებრ, დაუფარავად განახორციელოს სამხედრო მოქმედებები და აფეთქებასაშიში ვითარება შექმნას მთელ რეგიონში.

განსაკუთრებით შემაშფოთებელია ის, რომ ეს არის არა იზოლირებული ინციდენტი, არამედ იმ პროვოკაციული ქმედებების სერიის გაგრძელება, რომლებსაც რუსეთი ბოლო თვეების განმავლობაში მიმართავს საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის წინააღმდეგ, კერძოდ:

2008 წლის 6 მარტს დსთ-ის სახელმწიფოების მეთაურთა საბჭოს 1996 წლის 19 იანვრის გადაწყვეტილებიდან გამოსვლით რუსეთმა ცალმხრივად განაცხადა უარი სეპარატისტულ რეჟიმებთან სამხედრო თანამშრომლობისა და კონფლიქტების ზონებში უკანონო სამხედრო ყოფნის შეზღუდვის რეჟიმზე;

რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის 2008 წლის 16 აპრილის გადაწყვეტილებით რუსეთმა პრაქტიკულად უგულვებელყო საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა და შექმნა სეპარატისტულ რეჟიმებთან საქართველოს ხელისუფლებასთან შეუთანხმებლად, პირდაპირი სამართლებრივი, პოლიტიკური და ეკონომიკური კავშირების დამყარების შესაძლებლობა;

2008 წლის 20 აპრილს რუსეთის თავდაცვის სამინისტროს ავიაგამანადგურებელმა დაარღვია საქართველოს საჰაერო სივრცე, განახორციელა სამხედრო აგრესია და ჩამოაგდო საქართველოს შსს-ს კუთვნილი უპილოტო თვითმფრინავი. აღნიშნული ფაქტი დაადასტურეს გაერომ, ეუთომ და მას საერთაშორისო თანამეგობრობის მკაცრი შეფასება მოჰყვა;

რუსეთის ფედერაციის ხელისუფლებამ საქართველოს ტერიტორიაზე (აფხაზეთში) საერთაშორისო ნორმებისა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და

სუვერენიტეტის დარღვევით შემოიყვანა თავდაცვის სამინისტროს რეგულარული სამხედრო ნაწილები და ე. წ. სარკინიგზო ძალები და ახორციელებს სამხედრო ინფრასტრუქტურის მშენებლობას;

რუსეთმა კონფლიქტის ზონაში შემოიყვანა სადესანტო ნაწილები, მძიმე ტექნიკა და ისეთი ტიპის შეიარაღება, რომელიც არ არის გათვალისწინებული სამშვიდობო ოპერაციის ფორმატით;

რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალები ღიად უწყობენ ხელს და დახმარებას უწევენ სეპარატისტული რეჟიმების უკანონო შეიარაღებულ ფორმირებებს, რითაც ფაქტობრივად მხარს უჭერენ ტერორიზმს საქართველოს ტერიტორიაზე.

ამკარაა, რომ რუსეთის ხელისუფლების ქმედებები აფერხებს ქართველებსა და აფხაზებს, ქართველებსა და ოსებს შორის ნდობის აღდგენისა და კონფლიქტების მშვიდობიანი მოგვარების პროცესს, რითაც ხდება კონფლიქტების შემდგომი ესკალაცია და საფრთხე ექმნება სტაბილურობას მთელ რეგიონში.

რუსეთის ფედერაციის ხელისუფლების მიერ 8 ივლისს საქართველოს საჰაერო სივრცის დარღვევით განხორციელებული სამხედრო აგრესიის აქტი კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ რუსეთის ფედერაცია კონფლიქტების მხარეა და მათი მშვიდობიანი მოგვარების უზრუნველყოფის არც სურვილი აქვს და არც შესაძლებლობა.

რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ ამ აგრესიის აქტის დადასტურება არის არა მხოლოდ საქართველოს ორი რეგიონის ფაქტობრივად მიმდინარე ანექსიისა და სამხედრო ოკუპაციის პროცესის აღიარება, არამედ ღია სამხედრო მოქმედებების დაწყების ამკარა მცდელობა.

საქართველოს პარლამენტი კიდევ ერთხელ ადასტურებს კონფლიქტების მშვიდობიანი გზით მოგვარების აუცილებლობას და მიმართავს საერთაშორისო თანამეგობრობას, საერთაშორისო ორგანიზაციებსა და პარტნიორი ქვეყნების პარლამენტებს:

მკაცრი შეფასება მისცენ რუსეთის ფედერაციის აგრესიულ ქმედებებს;

მხარი დაუჭირონ საქართველოს სამშვიდობო ინიციატივას, რომელიც ითვალისწინებს არსებული სამშვიდობო ფორმატების შეცვლას და ე. წ. სამშვიდობო კონტინგენტების საერთაშორისო საპოლიციო ძალებით დაუყოვნებლივ ჩანაცვლებას. წინააღმდეგ შემთხვევაში საქართველოს მხარე იძულებული იქნება, უახლოეს მომავალში მიიღოს შესაბამისი სამართლებრივი ზომები კონფლიქტების ზონებში მოქმედი რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების დელეგიტიმაციისა და უსწრაფესად გაყვანის მიზნით;

განახორციელონ შესაბამისი პოლიტიკური და საერთაშორისო სამართლებრივი ღონისძიებები რუსეთის ფედერაციის პროვოკაციული ქმედებების შესაჩერებლად და

რუსეთის ფედერაციის მხრიდან საქართველოს მიმართ შესაძლო პირდაპირი სამხედრო აგრესიის შეჩერების ეფექტიანი მექანიზმის დროულად შექმნისათვის.

თბილისი, 2008 წლის 11 ივლისი

(www.Parliament.ge)